საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

№ 509

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ინგა ჯავახაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და გამომდინარე აქედან, ამ კომისიაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, 27^1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, 2024 წლის 30 ოქტომბერს, **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ინგა ჯავახაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და გამომდინარე აქედან, ამ კომისიაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“** მიიღო შემდეგი **გადაწყვეტილება:**

„მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ინგა ჯავახაძეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველზე, 2024 წლის 2 ოქტომბრიდან შეწყვეტილი აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიის წევრის უფლებამოსილება, რომელიც ამ კომისიის წევრად წარდგენილი იყო პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. № 51
„31“ 10 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

მუხლი 3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისია შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **რიჟამაძე მამუკა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
2. **შენგელია ირაკლი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
3. **ნადირაძე თეიმურაზ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
4. **მხეიძე დიმიტრი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
5. **კოსტავა მაგდა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
6. **ჩიხლაძე მანანა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
7. **გიორგაძე მიხეილ,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ;
8. **ჭოხონელიძე მერაბ**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;
9. **ბიბილეიშვილი ნინო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის" მიერ;
10. **მანაგაძე გაგა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის" მიერ;
11. **ხურციძე ქეთევან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის" მიერ;
12. **შუშანია გრიგოლ**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;
13. **კოხრეიძე ანა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;
14. **არჩაია ელეონორა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 30 ოქტომბრის 72-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის) "

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია